# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.— პარასკევი, 7 ივლისი 1900 წ. № 1173

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**

საზაფხულო თეატრი და ბაღი

(მიხეილის პროსპექტი)

**საქველ-მოქმედო წარმოდგენა,**

შაბათს, 8 ივლისს,

ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**მე მინდა კნეინა გავხდე.**

კომედ. 2 მოქ. ზ. ანტონოვისა

**ადვოკატთან.**

ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი

მოთამაშენი: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ნებიერიძე ბ.ბ. აბაშიძე, სეიმონიძე, გუნია, ჯაჯანაშვილი, ყრუშაძე, ხოსროევი და სხვ..

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 9 საათზე.

(2—1) რეჟისორი გ. აბაშიძე.

## ახალი ამბავი

✦ გუშინ დილით მთავარმართებელი თ, გ. ს. გოლიცინი მეუღლით წაბრძანდა ესსენტუკში.

✦ როგორც გავიგეთ, მთავარმართებელს უკვე დაუმტკიცებია ქალაქის გამგეობისა და ბ. რობის ხელშეკრულობის პროექტი მთაწმინდაზე ფუნიკულერის გაკეთების შესახებ.

✦ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა სამიწად-მოქმედო სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ მას ნება მიეცეს 1901 წელში საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილეის აღსანიშნელად **კავკასიის საერთო გამოფენის გამართვისა.** ამ შუამდგომლობაზე საზოგადოებას წინადადება მოუვიდა სამინისტროსაგან, შეუერთდეს გამოფენის მოსაწყობად ბაღოსნობის საზოგადოების აქაურ განყოფილებას, რომელსაც იმავე თხოვნით მიუმართავს მინისტრისათვის. ეხლა კი, როგორც გვატყობინებენ, სამინისტროს აზრი გამოუცვლია და ნება დაურთავს სამეურნეო საზოგადოებისათვის გამართოს 1901 წ.-ში კავკასიის საერთო გამოფენა.

✦ ტრამვაის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ბ-ნ რობის ქალაქის გამგეობაში შეუტანია განცხადება, რომლითაც ითხოვს ნება მიეცეს მას **გაიყვანოს ტრამვაის გზა ბაღის ქუჩაზე** ვოზნესენსკი ქუჩის ბოლომდე, სადაც კოჯრის გზის აღმართი იწყება.

✦ კომმისია, რომელსაც მინდობილი აქვს ქართველ თავად-აზნაურობის ქარვასლის მოვლა, შესდგომია **ქართული თეატრის შეკეთებას.** პროექტით თეატრის უმთავრესი შესავალი გამართული იქნება ქარვასლის შუა ეზოდან. გარდა ამისა მომატებულ იქმნება კარებები. თეატრისა და მთელი ქარვასლის ელექტრონის განათების მოსაწყობად კომისია პირობით შეეკრა „უნიონის“ ფირმას.

✦ სახელმწიფო **კანტორაში მოსამსახურე ქალების რიცხვი** შესამჩნევად შემცირდება. ამ დღეებში გამოიცა ახალი წესები რკინის გზის კანტოროში მოსამსახურე ქალების შესახებ. თანხმად ამ ახალი წესებისა მოსამსახურე ქალთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ყველა მოსამსახურეთა რიცხვის ერთ მეხუთედს, და რადგანაც ეხლა ქალების რიცხვი აღემატება ამ ნორმას, ქალებს აღარ მიიღებენ სამსახურში, სანამ მათი კომპლექტი კანტოროში არ ჩამოვა ერთ მეხუთედამდე. ქალის ჯამაგირი არ უნდა აღემატებოდეს ხუთ თუმანს.

✦ ფინანსთა სამინისტროს გარდაწყვეტილებით, საზღვარ გარეთიდან მოტანილ **გაზის ნერგების ტარიფი** იქნება ორი შაური ფუთზედ.

✦ რადგანაც მაჰმადიანთა ქალები იშვიათად მიჰმართავენ ხოლმე მამაკაც-ექიმებს და ფერშლებს, ამიტომ განზრახვა აქვთ დააარსონ ტფილისში **ქალთა საფერშლო სკოლა.**

✦ ტფილისის **ტრამვაის უსახელო საზოგადოება** უკვე შეუდგა წყნეთის ქუჩაზედ ტრამვაის გზის კეთებას. ვაგონების მიმოსვლა ამ ქუჩაზედ დაიწყება, როგორც ფიქრობენ, მომავალ კვირაში.

✦ **ქალაქის თავის მოადგილეს** ბ. **ადუთაინსკის** გუბერნატორისაგან მოსვლია ქაღალდი შეუდგეს ქალაქის თავის თანამდებობის აღსრულებას, რადგანაც ბ. ევანგულოვი ორი თვით სამსახურიდან განთავისუფლებულ იქმნა.

✦ ადგილობრივ გაზეთების სიტყვით 5 ივლისს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა კ. პ. იანოვსკიმ აცნობა ტფილისის გამგეობას, რომ საერო განათლების მინისტრმა განიხილა ქალაქის შუამდგომლობა ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების შესახებ და ამასთანავე, გაითვალისწინა-რა, რომ ტფილისის სამი კლასიკური გიმნაზია და რეალური სასწავლებელი მოსწავლეებით სავსეა, რის გამოც მრავალი უსწავლელად რჩება, მართლაც საჭიროდ დაინახა ტფილისს მოემატოს სასწავლებელი, ხოლო არა კლასიკური პროგიმნაზია, არამედ სხვა რაიმე სახის სასწავლებელი სამრეწველო ხასიათისა, რომელიც უფრო შეეფერება აწინდელს გარემოებასა და მოთხოვნილებასაო. ამის გამო ოლქის მზრუნველი სთხოვს ქალაქის თვითმმართველობას, მაცნობეთ თქვენი აზრი სამინისტროს წინაშე წარსადგენად, რა სამრეწველო ხასიათის სასწავლებელი უფრო გსურთ და რა პირობით შეიძლება მისი დაარსებაო. გუშინვე ქალაქის გამგეობამ დაადგინა ეს საგანი გარდასცეს გარდასაწყვეტად სასწავლებელთა კომისიას და მისის აზრითურთ შემდეგ საბჭოს წარუდგინოს მისდა განსახილველად და განსაბჭობად.

✦ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს მეეტლეთა შესახები საგადებულო დადგენილებათა გადასინჯვა, დაუმთავრებია თავისი მუშაობა და ახალ სავალდებულო დადგენილებათა პროექტი გადაუცია გამგეობის წევრის ხოსროევისათვის გამგეობისთვის წარსადგენად.

✦ უმართებულესი სენატის გარდაწყვეტილებით, იმ პაპიროსის მკეთებლებს, რომელნიც შემკვეთელისაგან იღებენ მასალას, სააქციზო წესდებულების დარღვევად არ ჩამოერთმევათ სახლში პაპიროზების კეთება.

✦ ნავთის მწარმოებელ უნუთცევს განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში, რომ იგი მზად არის ივლისისა და აგვისტოს თვეებში მისცეს ქალაქს ფუთი ნავთი 1 მან. 18 კ., ქალაქში კი ნავთი უფრო ძვირად იყიდება.

## ტფილისის ქალთა ნავთის მწარმოებელ საზოგადოების კრება

5 ივლისი

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში ოთხშაბათს, 5 ივლისს, კრება ჰქონდა ქალთა საზოგადოებას, რომელსაც გარდაუწყვეტია შეადგინოს ამხანაგობა ამ ფირმით: «ქალთა ნავთის მწარმოებელი ამხანაგობა». კრება დაიწყო მკურნალ ქალის მ. გ. სოგარდა-პოსერბსკაიას თავმჯდომარეობით; კრებას უმთავრეს განსახილველ საგნად ჰქონდა წინად უკვე ამორჩეულ კომისიისაგან შედგენილი პროექტი ამხანაგობის ხელშეკრულებისა. როგორც კრებაზე წაკითხულ ხელ-შეკრულებიდანა სჩანს, ამხანაგობას მირითად თანხად უნდა ჰქონდეს 100,000 მან; ამხანაგობაში მონაწილეობის მიმღებმა უნდა შეიძი-

ნოს პაები, რომელთაც გამოსცემს ამხანაგობის მმართველობა; თითოეული პაი ღირებს 100 მან., წევრს ამხანაგობისას შეუძლიან რამდენიც უნდა პაი შეიძინოს, ხოლო საზოგადოებაში 5 ხმაზე მეტი არავითარ შემთხვევაში არ ექმნება. ამ თავით ამხანაგობა გამოსცემს 500 პაის ხულ 50,000 მანეთისას. ამხანაგობის მიზანია შედგენილი თანხით შეისყიდოს თუ იჯარით აიღოს ბაქოსა, ტფილისისა თუ სხვა გუბერნიაში ნავთიანი მიწები და შეუდგეს ნავთის წარმოებას. ამხანაგობის ყველა საქმეების მართვა-გამგეობა ჩაბარებული ექმნება საზოგადოებისაგან ხმის უმეტესობით სამის წლით ამორჩეულ 7 კაცისაგან შემდგარს გამგეობას, გამგეობის მოქმედების მეთვალყურედ ამხანაგობას ეყოლება სარევიზიო კომისია, ხოლო მთელი საქმის უმთავრესი მმართველი იქმნება საზოგადო კრება, რომელიც მოხდება წელიწადში ერთხელ. ხელ-შეკრულება შევა ძალაში მაშინ, როცა უკვე შესდგება ამ საქმისათვის საჭირო თანხა. ხელ-შეკრულების მიხედვით ამხანაგობას აზრად აქვს ყოველ-წლობით მთელი მოგების $1/15$ ნაწილი გადასდოს იმ ფონდის შესადგენად, საიდანაც გაიცემა სტიპენდიები ამხანაგობის სახელზე ქალთათვის ტეხნიკური განათლებისა ანუ საზოგადოდ უმაღლესს სასწავლებლებში სწავლის მისაღებად.

ამასთანავე წაკითხულ იქმნა ამ საქმის ინიციატორი სმკურნალ ქალის ბ-ნ სოგარდა-პოსერნსკაის ხელწერილი, რომლითაც იგი უთმობს ამხანაგობას 12 წლის ვადით ნავთის საწარმოებლად თვისის საკუთარის ადგილიდან 1 დესეტინასა და 1339 ოთხ. გ. საუ. ნავთიან მიწას, იმ პირობით, რომ მას მიეცეს წარმოებიდან მთელი შემოსავლის $1/5$ ნაწილი. ხელწერილით ქ-ნი სოგარდა პირობას აძლევს ამხანაგობას, რომ იგი მისგან მიღებულ შემოსავლის $1/5$-დან გადასდებს $1/8$ ნაწილს ფულს იმ თანხის მისამატებლად, რომლითაც ამხანაგობას სახეში ექმნება ქალთათვის სტიპენდიების დანიშვნა. კრებისაგან ეს ხელწერილი ქ-ნ სოგარდასი დიდი მადლობის გამოცხადებით იქმნა მიღებული. რადგანაც ხელშეკრულების ზოგიერთმა მუხლებმა დამსწრე წევრთა შორით გამათი გამოიწვია, კრებამ დაადგინა, გარდასცეს ეს ხელ-შეკრულება ხელ-ახლად გადასათვარიელებლად მეელს კომისიას, შემდგარს შემდეგის პირებისაგან: თავმჯდომარე ქ. გ. სოგარდა-პოსერნსკაია და წევრნი მარიამ ტიზენგაუზენისა, გავრიელოვისა, გოლუბაევისა და სამოილოვიჩისა. ამათ დანიშნათ თანაშემწეებად: ქ-ნი მუხრანსკისა, ისაკოვისა, კაზლოვისა და ალექსეევისა. ამ კომისიისაგან ხელ-ახლად შესწორებული ხელ-შეკრულება შემდეგ წარედგინება განსახილველად საზოგადო კრებას, რომელიც შუამდგომლობას აღძრავს მთავრობის წინაშე მის დასამტკიცებლად.

როგორც თვით ხელშეკრულობიდან და კრებაზე აღძრულ ლაპარაკიდან სჩანს, ამხანაგობას ფრიად საყურადღებო და პატივსაცემი მიზანი აქვს. ამხანაგობას მსურს თვისი ახლო მიზანი—ნავთის წარმოების საქმე, შეჰქმნას იმ საშუალებად, რომლითაც მას შეეძლება ემსახუროს ქალთა თვით მოქმედებისა და თვით განვითარების საქმეს, როგორც ხედავთ, მიზანი მეტად სიმპატიურია, და ამიტომაც უსურვებთ ქალთა ამხანაგობას, რომ აღნიშნული სიმპატიური მიზანი მათ და საზოგადოების საკეთილდღეოდ მალე განხორციელებულ იქმნას.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**5 ივლისი**

**პეტერბურგი.** 4 ივლისს პეტერბურგში გავრცელდა ხმა, ვითომც ჩინეთის ელჩს პასპორტი დაუბრუნეს და იგი იძულებულია გავიდეს რუსეთიდან. სააგენტოს ყოვლად სარწმუნო წყაროებიდან შეუტყვია, რომ ეს ხმები მოჭორებულია.

ამურის სამხედრო ოლქის უფროსი იტყობინება დეპეშით 1 და 2 ივლისიდან: 1) „დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, აიგუნიდან ჩინელებმა სროლა დაუწყეს რუსის გემს „მიხეილს“; დასჭრეს პოლკოვნიკი კოლშმიდტი და ერთი ცხენი. „მიხეილი“ ბლაგოვეშჩენსკში მოვიდა. ამურის ოლქის უფროსმა მაშინვე გაგზავნა რაზმი ამურზე გემებისათვის გზის გასაწმენდად. ესეც ეხლა მოვიდა ხარბინიდან გემი „ბლაგოვეშჩენსკი“. რუსის მუშებმა თავი დაანებეს სუნგარზე ხიდის კეთებას. ჩინელების ჯარის რიცხვი თანდათან მატულობს“. 2) გენერალი გრიბსკი იტყობინება, რომ 2 ივლისს იგი აიკუნისაკენ წავიდა; გემი „სელენგა“ ორის ზარბაზნით თან მისდევდა ქვეითა ჯარს. ჩინელებმა ზარბაზნები და თოფები დაუშინეს. ჩინელების ჯარის რიცხვი დიდია. საღამოს 8 საათზე ბლაგოვეშჩენსკიდან სროლა მოისმა და რაზმი, რომელსაც საფრთხე მოელოდა, უკან დაბრუნდა „სელენგაზე“ მოკლულია 2 და დაჭრილია 5 ჯარის კაცი და 1 მემანქანე, გემის მანქანაც დაზიანებულია. სრეტენსკიდან ბლაგოვეჩენსკისაკენ წავიდა ორი ბატალიონი, ზაბაიკალის დივიზიის ბატარეა და ასი ყაზახი, პოლკოვნიკ შვერინის სარდლობით გაგზავნილი იქმნება კიდევ არგუნის ყაზახების 4 ბატალიონი 12 ზარბაზნით. ჩინელების სოფელ სახალინიდან, რომელიც ბლაგოვეშჩენსკის პირდაპირ მდებარეობს, დაუწყეს ქალაქს სროლა სროლა ჯერაც არ შეწყვეტილა. დილის 11 საათზე ჩვენმა ყუმბარებმა ცეცხლი წაუკიდეს სახალინს. ერთი რაზმი 6 ზირბაზნით აიგუნისაკენ გაემართა; უფროსია გენ. კრიბსკი, ქალაქს განაგებს პოლკ. ვილკოვინსკი, რომელიც დეპეშით იტყობინება, რომ ბლაგოვეშჩენკს დაიწყეს სროლა $6\frac{1}{2}$ და ესროდნენ საღამოს 9 საათამდე. ჩინელები 2000 იყვნენ 8 ზარბაზნით, ჩვენ კი 2 ზარბაზანი გვქონდა. მოგვიკლეს 2 და დაგვიჭრეს 5 ჯარის-კაცი. ქალაქის შენობები არ დაზიანებულა. სახალინზე ჩვენმა ყუმბარებმა ცეცხლი გაუჩინეს ორ კაზარმას და ტელეგრაფის სადგურს. თუ ჯარის გადასაზიდავი ნავები ვიშოვეთ, განზრახვა გვაქვს ღამე თავს დავესხათ მტერს. 5) დღეს, 2 ივლისს, ხაბაროვსკში მოვიდა გემი „დიდი მთავარი ალექსი“, რომელიც ხარბინიდან გამოვიდა 27 ივნისს და მოიყვანა ჩინეთის რკინის გზაზე მოსამსახურეთა 300 ქალი და ბავშვი. ხარბინის ქვემოდ თავს იყრის თურმე ჩინელების ჯარი; ფარვატერი ჯერ თავისუფალია.

ვიცე-ადმირალი ალექსეევი დეპეშით ატყობინებს პორტ-არტურიდან სამხედრო მინისტრს, 22 ივნისიდან: „გუშინ ტაკუდან გაიგზავნა საზვერავად ჩატინის პოლკის პატარა რაზმი, რომელსაც სროლა აუტეხეს ჩინელებმა ტაკუდან 25 ვერსტის სიშორეზე. მოჰკლეს პოდპორუჩიკი მე-5 აღმოსავლეთ-მსროლელთა პოლკისა გუსევი და ორი ყაზახი. დასჭრეს ერთი ყაზახი.

**ტოკიო.** იმპერატორმა და დედოფალმა კაცი გაგზავნეს იოკაგამაში და ნაგასაკში იქ მყოფ დაჭრილთა სანახავად. იაპონიის წითელი ჯვრის საზოგადოება გზავნის ბევრ მომვლელ ქალს ნაგასაკში.

**ტიანცზინი.** დღეს მოკავშირეთა ჯარებმა მიიტანეს საერთო იერიში ჩინელებზე. ჩინელები ისროდნენ 40-ზე მეტ ზარბაზნებიდან; მოკავშირეთ დიდი ზარალი მოუვიდათ. ჩინელებს წაართვეს 8 ზარბაზანი და დიდი სროლის შემდეგ გადევნეს ისინი დასავლეთ არსენალიდან, მაგრამ დღეს ქალაქში ვერ შევიდნენ. ხვალ უთუოდ იერიშით მივლენ ქალაქზე.

**ვაშინგტონი.** ამერიკის კონსული კანტონში იტყობინება, რომ ლიხუნჩანგი წავიდა დღეს კანტონიდან, რადგანაც იგი დანიშნეს ჩაშლის მმართველად. კანტონში შიშობენ, რომ ლიხუნჩანგის წასვლას არეულობა მოჰყვება.

**კანტონი.** აქ მოვიდა საფრანგეთის რამდენიმე სამხედრო გემი.

**ვაშინგტონი.** აქაურ ჩინეთის ელჩს მოუვიდა ლონდონში მყოფ ჩინეთის ელჩისაგან დეპეშა რკინის გზების დირექტორის შენის, ნანკინის და ვუჩანის მმართველების ხელმოწერილი, რომლიდანაც სჩანს, რომ 26 ივნისს ელჩები პეკინში უვნებლივ იყვნენო და მთავრობა მათ მფარველობას უწევდა. შემდეგ ელჩი თხოულობს, ნუ დაანგრევთ ტიანცზინს, რადგანაც ეს დიდად საზარალო იქმნება ვაჭრობისათვისო.

**ლონდონი.** ამავე შინაარსის დეპეშა წარუდგინა ჩინეთის ელჩმა გარეშე საქმეთა სამინისტროს.

**ჰონგკონგი.** ხვალ მოელიან ლი-ხუნ-ჩანგს. გუშინ კანტონში მასთან იყვნენ უცხოეთის ყველა კონსულები, რომელნიც სთხოვდნენ მას არ წასულიყო. ჩინელები ამბობენ, რომ მან თან წაიღო თავისი ბეჭედი, რათა არ შეეძლოთ პროკლამაციების გამოცემა. კანტონიდან მოსულმა გემმა მოიტანა ამბავი, რომ ჩინელები დაბანაკდნენ ბოკას იქით. „შავ მედროშეთა“ უფროსს ლინგლის ბრძანება მოუვიდა, რომ წავიდეს პეკინში. ჩინელების აზრით, ლინგლის აქ ყოფნა, როცა ლი-ხუნ-ჩანგი არ იქნება, საშიშოა.

**ლონდონი.** ტიანცზინიდან იტყობინებიან 30 ივნისიდან, რომ მოკავშირეთა ყველა ჯარებმა იერიში მიიტანეს ჩინელებზე. გათენებისას 42 ზარ-ბაზნით დაუშინეს ყუმბარები ქალაქს და მეტად დააზიანეს; თითქმის ყველა ჩინელების ზარბაზნები ჩააჩუმეს. ამავე დროს 1500 რუსმა და გერმანელების და ფრანგების პატარა რაზმებმა წაართვეს ჩინელებს 8 ზარბაზანი. ფრანგებმა ააფეთქეს თოფის წამლის საწყობი. ამავე დროს ინგლისის, ამერიკის, იაპონიის, ავსტრიის და საფრანგეთის დანარჩენმა ჯარებმა იერიში მიიტანეს არსენალის დასავლეთ ნაწილზე, აიღეს იგი, მაგრამ ჩინელებმა უკანვე წაართვეს. 3 საათის გაცხარებული ბრძოლის შემდეგ ჩინელები განდევნილ იქმნენ. არსენალის აღების შემდეგ, ჯარები ქალაქისაკენ წავიდნენ. იაპონიის ქვეითა ჯარი და არტილერია, რომელთაც მხარს აძლევდნენ ამერიკელები, ფრანგები და ინგლისელები, ქალაქამდე მივიდ-

ნენ, მაგრამ რადგანაც მაშინვე ქალაქში შესვლა შეუძლებელი იყო, ჯარები დაბანაკდნენ ქალაქის წინ. ხვალ თავს დაესხმიან ქალაქს. მოკავშირეთა ზარალი მეტად დიდია. ყველაზე დიდი ზარალი ფრანგებს, ამერიკელებს და იაპონელებს მოუვიდათ. მტერს როგორც სჩანს, შემოლევია უკვამლო თოფის წამალი.

**პრეტორია**. მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა მთავრობამ გაიგო, რომ ბევრი მოწინწალე უცხოელი ომის დროს უწესოებას ახდენს და განზრახვა აქვთ შეუერთდეს ბურებს, 580 ამისთანა უცხოელი დაატუსაღეს და შეატყობინეს კონსულებს, რომ დატუსაღებულებს გაანთავისუფლებენ, თუ კონსულები თავდებნი იქმნებიან, რომ ისინი წესიერად მოიქცევიან. ბურები ამაგრებენ პოზიციებს პრეტორიის ჩრდილოეთით.

**ხაბაროვსკი**. 3 ივლისიდან იტყობინებიან, რომ გენ. გრიბსკის მოძრაობამ და ბლაგოვეშჩენსკზე ჩინელების სროლამ გვიჩვენეს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე როგორც რიცხვით, ისე სასროლი მასალით ძალიან კარგად მომზადებულია. ზანზეისის მიდამოებში მანჯურიის სოფლებში მოხუცებულების მეტი არავინ არის, დანარჩენები კი წყლის მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ; გილჩინის და ზავიტინის ოლქების უფროსები ჯარებს აგროვებენ; დღეს ამათ ჩვენ წინააღმდეგ არა უმოქმედნიათ რა. სამაგიეროთ ბლაგოვეშჩენსკზე სროლა უფრო და უფრო ძლიერდება. გრიბსკის რაზმი დაბრუნდა.

**ხაბაროვსკი**. 27 ივნისს, სადგურ ტაიმოჩოუსთან პოდპოლ. ვინინგის რაზმს, რომელიც ხარბინიდან მოდიოდა, თავს დაეცა 400-მდე ჩინელი. მტერი დიდათ დაზარალებული უკუაქციეს. რაზმიდან მოჰკლეს ერთი, მძიმედ დაჰრეს—3 და მსუბუქად—1. მე-11 ნაწილში მოსამსახურენი შეიკრიბნენ მულანძიაში. ამ ნაწილის ყველა დისტანციები გაძარცულია და გადამწვარი. ტელეგრაფის მავთულები ხარბინისაკენ შეწყვეტილია. როგორც ისმის, ხარბინის მდგომარეობა საშიშოა.

**ბლაგოვეშჩენსკი**. 4 ივლისი. ეს მეორე დღეა, სახალინიდან ყუმბარებს ესვრიან ქალაქს. ხმა დადის, ვითომც რუსებს აიგუნი აუღიათ. კალკანიდან რუსები წამოსულან და მათ კიახტაში მოელიან. ბლაგოვეშჩენსკში, როგორც ისმის, რამდენიმე კაცი მოუკლავთ.

**ირკუტსკი**. ჩამოვიდა გენ. ნადერმილლერი.

**პარიზი**. შანჰაიში მყოფი საფრანგეთის კონსული 3 ივნისს დეპეშით იტყობინება, რომ შენი უარს ამბობს, ვითომც პეკინში ელჩები ამოეჟლიტესო.

**ლონდონი**. პალატა. ბროდრიკი აცხადებს, რომ მას არ მოსვლია ამ უკანასკნელ დღეებში ცნობები ტიანცზინის კონსულიდან და არც ჯარის უფროსისაგან. საზოგადოდ არ მოსულა ცნობა მოკავშირეთა ტიანცზინზე იერიშის მიტანის შესახებ.

**შანჰაი**, 4 ივლისს. 26 ივნისს ხანგუანში, შანჰაის პროვინციის უმთავრესს ქალაქში, მოკლულია 4 უცხოელი და 100 ჩინელი ქრისტიანი. შანჰაის მიდამოში ათასობით არიან კარგად შეიარაღებული ჩინელები. უცხოელთა წინააღმდეგ მოძრაობა მსწრაფლ ვრცელდება შუა და სამხრეთ ჩინეთში. შემდეგ იუწყებიან, რომ პრინცმა ცინმა და სხვა მანდარინებმა, რომელნიც მეგობრულ განწყობილებაში არიან უცხო სახელმწიფოებთან, ურჩიეს რობერტ გარტს ჩაეცვა ჩინელთა ტანთსაცმელი და გაქცეულიყო, მით უფრო რომ გირტი კარგად ლაპარაკობს ჩინურ ენაზე: მაგრამ გარტმა უარი თქვა მარტო გაქცევაზე, რადგან სხვა ევროპიელები იქა რჩებოდნენ.

28 ივნისს გავრცელდა ხმა, ავითომ გარტი მოუკლავთ.

**კანტონი**. ლიხუნგსანგმა კონსულებთან ლაპარაკში ჰსთქვა, რომ საშიშ მდგომარეობაში არიან ჩინეთში მყოფი ელჩნიო და დასძინა, რომ სალსბერიმ და დელკასემ მოსთხოვეს მას დაიცვან საელჩოები და გააფრთხილეს, რომ პასუხს აგებენ ჩინეთის მანდარინები ელჩთა დახოცვისათვის. ლიხუნჩანგმა გადასცა ეს სიტყვები იმპერატრიცას და დარწმუნებულია, რომ ეს სიტყვები იმოქმედებენ იმპერატრიცაზე.

**ტიანცზინი**. 1 ივლისი. უცხოელთა ჯარებს მოუკლეს და დაუჰრეს 460 კაცი.

**შანჰაი**. 4 ივლისს იუწყებიან ჩინეთის წყაროებიდან, რომ პრინცმა ტუანმა გამოსცა ბრძანება, რომელშიაც დანიშნულია ვადა საერთო აჯანყებისა. შანჰაიში მყოფი ჩინელები ემუქრებიან უცხოელთ დაგიშენთ ზარბაზნებს თუ უცხოელთა ჯარი დააპირებს ხმელეთზე გადმოსვლასო.

**ბეირა**, 4 ივლისი. ინგლისის კონსულე ხანჯლით დასჰრეს კეფაში. მდგომარეობა მისი საშიშოა. მკვლელი შეიპყრეს შანჰაიში. შენის გადმოცემული ცნობა პეკინში საშინელი სისხლის ღვრაზე, ეჭვს გარეშე უნდა იყოს. რაც შეეხება შანჰაის ამბებს, უეჭველია ბუზუნის ნაპირები გამაგრებულები არიან. უკანასკნელ ხანებში შენიშნულია, რომ ჩინელთა გემი ხშირად გადიოდა ნავთსადგურებიდან დატვირთული ნავებით, რომლითაც მიჰყავდათ ჯარი შანჰაიში და მის არსენალისათის. უცხოელთა კონსულებმა გამოაცხადეს სურვილი, რომ ჩინელთა მმართებლობამ აღკრძალოს გემების მიმოსვლა შანჰაისაკენ, მაგრამ გუშინაც გაიარა მძიმეთ დატვირთულმა გემმა. კონსულები შეიკრიბნენ და დაადგინეს აღკრძალულ იქმნას უცხოელთა უბნებში ჩინელებზე იარაღის გაყიდვა.

**ზეერუსტი**. გენერალმა დელარეიმ ჩამოართვა სნიმანს სარდლობა და სამხედრო ღირსება.

**კანტონი**. ლიხუნგჩანგი გამოთხოვების დროს დაჰპირდა კონსულებს დაიცვას მშვიდობიანობა სამხრეთ ჩინეთში და გამოაცხადა, რომ შესახებ ინგლისისა და საფრანგეთის მიერ გაფრთხილების გაგზავნისა პეკინში,—გამოუცხადა ჩინეთის მმართველობას თავისი სამდურავი, რომლის გამოცხადება შეეძლო გაებედნა მხოლოდ მას. თუ ამის შემდეგ გადარჩენილ იქმნებიან ისინი, ინგლისი, საფრანგეთი და შეერთებული შტატები დაჰპირდნენ ლმობიერად მოეპყრან. ამისივე იმედი აქვს სხვა სახელმწიფოებთაგან..

11 პროვინციის გუბერნატორებმა წარუდგინეს იმპერატორს საერთო წინადადება: 1) იქმნება ომი თუ არა, დაცულ იქმნან უცხოეთის ვაჭრები და მისსიონერები, რომ შევარჩინოთ ჩინეთს სახელი კულტურულ სახელმწიფოსი; 2) გადავარჩინოთ სიკვდილისაგან ცოცხალნი ელჩნი, რადგან მაშინ კიდევ შესაძლებელია მოლაპარაკება, მით უფრო, რომ გადარჩენილთა სახელმწიფოები შეიძლება დაეხმარნენ ამ შემთხვევაში ჩინეთს; 3) კეტტელერის, გერმანიის ელჩის, მოკვლის შესახებ ვთხოვოთ პატიება გერმანიას, ამასთანავე ვთხოვოთ სხვა სახელმწიფოებსაც გეშუამდგომლონთ და წერილით დავარწმუნოთ საფრანგეთი და შეერთებული შტატები ჩინეთის მათ მიმართ კეთილ სურვილში; 4) სავსებით იქმნას გადახდილი ყველა ის ზარალი, რომელიც მიაყენა ჩინეთმა უცხოელთ და 5) მიეცეს ბრძანება სამხედრო და სამოქალაქო მმართველობათ ჩქილში შესახებ ყაჩაღთა და მტაცებელთა დასჯისა.

**ბერლინი**. ბიულოვმა შეატყობინა ჩინეთის აქაურ ელჩს, რომ ახალ განკარგულებამდე მას არა აქვს უფლება გაგზავნოს საიდუმლო ნიშნებით დაწერილი დეპეშები. ღია დეპეშები გაგზვნამდე განხილული და მოწონებული უნდა იქმნას.

**ბასტერას**. (შვეცშია) ცნობილმა კაცის მკვლელმა ნარდლუნდმა დღეს მძიმედ დასჰრა თავში რკინის კავით ორი მოსამსახურე; მესამე მოსამსახურემ რევოლვერი ესროლა ნარდლუნდს და გვერდში მძიმედ დასჰრა; არ იციან, რამდენად მძიმე ჭრილობაა. ერთი მოსამსახურე საშიშ მდგომარეობაშია.

**პარიზი**. დელკასემ მიიღო დეპეშა, რომლითაც არწმუნებენ, რომ ხუნანში მოკლულ იქმნენ იტალიის ეპიკოპოზი და სამი მისსიონერი. ვიცე კოროლი გამოტყდა, რომ არ ძალუძს ებრძოლოს მეამბოხეთ.

**ლონდონი**. 25 ივნისს რენდლი წინ მიდიოდა როიკრანცის სიახლოვეს, ფიქსბურგიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ და შეხვდა მტერს. ბურები 150 კაცი იყვნენ, რომელთაც უკან დაიწიეს; ბრაბანტმა დაიჭირა როიკრანცი. ინგლისის არტილერიამ დაიპყრო გორები და მთელი დღე ცეცხლში იყო. ბრაბანტის ჯარი და იომანრები წინ წავიდნენ თოფის სროლის მანძილზე. მზის ჩასვლის დროს გამოჩნდნენ ბურების მაშველი რაზმები. როგორცა სჩანს, მტერს სწადიან გაარღვიოს წრე მთებში; უეჭველია ხვალ დაიწყება ბრძოლა.

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ მის თანადასწრებით, 1900 წ. 10 ივლისს, შუა დღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უსუფთაობის მილის გასაკეთებლად აწ არსებულისაგან ოლღის ქუჩაზე სმეტცოვის ქუჩით სანვალდიანცის სახლამდე.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობანი გამგეობის საადმშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე,-კვირა-უქმეს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე. (ნ. 3—2)

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა III მორიგი კრების გასარჩევ საქმეთა

# პროგრამა.

**კრება დანიშნულია ამა 1900 წლის 26 ივლისს, ქუთაისში, კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსის თანაშემწის, სტატსკი სოვეტნიკის მ. ი. ჩენგერის თავმჯდომარეობით.**

1. არჩევა კრების მდივნისა.

2. განხილვა ანგარიშებისა: კრების რჩევისა, ვაგონთა დამნიშვნელის კომიტეტისა და ფულის შემოსავალ-გასავლის შემამოწმებელ სარევიზიო კომისიისა.

3. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

4. ქუთაისის გუბერნიის გამგეობის მიერ ჭიათურის ქსენონის გადაცემა შავი-ქვის მრეწველთა კრებისათვის და მადნის მუშათათვის მუდმივის საავადმყოფოს გამართვა.

5. ადგილების შეძენა კრების საჭიროებისათვის და კრებისთვის საჭირო შენობების აგება.

6. შორაპნის შავი-ქვის მადნებზე მეთვალყურე მთავრობის მიერ განწესებულ შტეიგერთათვის დანიშვნა დამატებითის ჯამაგირისა მადნებში სამსახურისთვის თვითეულს ხუთი წლიწადისთვის 100 მან.

7. რა წესი და რიგი უნდა იქმნას შემოღებული შავი-ქვის ხარისხ-ხარისხად დაყოფისა, რომ შავი-ქვის გასაღება რიგიანად სწარმოებდეს.

8. ტეხნიკურის კომიტეტის დაწესება შავი-ქვის მადნების დასაცავად.

9. გაყვანა გზა-ტკეცილებისა და გაუმჯობესებულ მისავალ გზებისა: მავთულის გზებისა და მეხანიკური მოწყობილებისა შავი-ქვის საზიდავად მადნებიდან.

10. ჭიათურის ჰოსადად გადაკეთება და მარტივის საზოგადოებრივის თვით-მმართველობის შემოღება ჭიათურაში.

11. მომრიგებელი სასამართლოს დაწესება ჭიათურაში.

12. სტატისტიკური ცნობანი შავი-ქვის მადნის ამოღებისა და გაზიდვის შესახებ.

13. შტეიგერთა ინსტიტუტის რეორგანიზაცია.

14. სამრეწველო პოლიციის რეორგანიზაცია.

15. საპენსიო კასსის ანუ მუშათა დამხმარე საზოგადოების დაწესება და საერთოდ შავი-ქვის მადნებში მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ზომათა მიღება.

16. სამთო სკოლებში სტიპენდიების დანიშვნა პირველის კრების დადგენილების თანახმად.

17. $^{3}/_{4}$ კაპეიკის გადასახადის დადგენა $^{1}/_{2}$ მაგიერ და იმ გადასახადის გავრცელება იმ ქვაზედაც, რომელსაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებიდან ეზიდებიან, ხოლო რომელიც ამ სადგურებზე მოაქვთ ჭიათურის რკინის გზით კი არა, არამედ ურმებით და ცხენებით.

18. შავი-ქვის გაზიდვას ხომ არ აბრკოლებს რამე—ან რკინის გზის მხრივ, ანა და ფოთის ნავთ-სადგურის მხრივ.

19. შავი-ქვის გამგზავნელებს როგორ დაენიშნოთ პლატფორმები და სასურველია თუ არა ამ საგანზე ეხლანდელი წეს-რიგი დარჩეს ძალაში; აგრეთვე საფუძველი და წეს-რიგი იმისა, თუ შავი-ქვის მრეწველებს როგორ დაენიშნოთ მადნის გადასატანად დანიშნული ვაგონები.

20. მოსამსახურე პირთა არჩევანი:

ა) რჩევის თავმჯდომარისა. და ბ) რჩევის წევრებისა.

გ) შავი-ქვის მრეწველთა წარმომადგენელისა სამადნო საქმეთა საკრებულოში.

დ) ვაგონთა და საწყობთა დამნიშვნელის კომიტეტის წევრთა და მათი კანდიდატებისა.

ე) შავი-ქვის მადნების მეთვალყურე ტეხნიკურის კომიტეტის წევრებისა და მათი კანდიდატებისა, თუ ვინიცობაა ამისთანა კომიტეტის დაარსება კრებამ საჭიროდ დაინახა. ნ. 3—3


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა კრეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (შიუკდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის კ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში იყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტე | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**


გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Іюля 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განჭის დიდი ქუჩა, № 27.